პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

□ პარასკევი 2 ივნისი 1978 წ. □ № 129 (17173) □ ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადაზე!

პარის სამი წლის გეგმა!

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქაური შახტმშენებლებს მრავალგზის უზეიმნიათ საყოველთაო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება. ისინი ყოველთვის ვადამდე ამარებენ საგეგმო-ანგარიშებს.

შახტმშენებლთა დიდ და სახელოვან კოლექტივში ყველას მაინც ის სამშენებლო უბანი სჯობს, რომელსაც ალ. ზაქარეიშვილი მეთაურობს. უბანი ახლა კოროხნალის 100 ათასი და მერვის 50 ათასი ტონა წლიური მწარმოებლობის შაფარობს ამშენებს.

უბნის კოლექტივმა დიდი გამარჯვება იზეიმა ამ დღეებში. ხუთწლედის სამი წლის დავალებით გათვალისწინებული 1.800 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ნაცვლად მან 1.840 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა. მარტო მიმდინარე წლის ხუთი თვის დავალების გადამეტებით გაიყვანეს 78 გრძივი მეტრი კაპიტალური გვირაბი, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და მშენებლობის თვითღირებულების შემცირებით 20 ათასი მანეთი დაზოგეს.

ამ გამარჯვებას კოლექტივმა გვერდაბამყვანა და რაკინიგზელთა იმ კომპლექსური ბრიგადის წყალობით მიაღწია, რომელსაც ... [illegible] ... შვილი, ა. ასანოვ და ... [illegible]

ფარეშევან-ონოს ფაფა

ონი. (საკ. კორ.). საქენერგოს ონის საქსელი უბნის კოლექტივს საქმიანი სამეფო ურთიერთობა აქვს დამყარებული შეუბნის საბჭოთა მეურნეობასთან. ენერგეტიკოსებმა ღია პარტიულ კრებაზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის შედეგებს ეხილავდა, იკისრეს ინიციატივა დახმარებოდნენ მეურნეობის მუშაკებს კაკლის ჯორომების გამენებაში.

ამის შემდეგ ცოტა დრო გავიდა, მაგრამ შეფმა პირობა უკვე საქმედ აქცია — ველეიეთის ბალაში 6 ჰექტარზე დარგო 670 ძირი კაკლის ნერგი. კაკლნარის გაშენებაში აქტიური შრომით თავი ისახელეს საწარმოს მოწინავე ადამიანებმა ნ. გავაშელაშვილმა, ჯ. ჯოხაძემ, გ. ბერეულიძემ, ვ. გრძელიშვილმა, ა. რაზმაძემ და სხვებმა.

შეფი განაგრძობს მეურნეობისადმი დახმარებას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1978 წელს მოსავლის აღების, ნოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების და 1978-79 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ პარტიული, საბჭოთა, სახოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოების უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანაა წარმატებით აიღონ მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ, მთლიანად და გადაეჯარებით შეასრულონ მარცვლეულის და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმა, უზრუნველყონ მათი გამოტანა და შენახვა, მნიშვნელოვნად გაადიდონ მაღალი ხარისხის უხეში და წვნიანი საკვების დამზადება საზოგადოებრივი მეცხოველეობის, აგრეთვე კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შექმნან თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საკვების საფაზო-ვადევნო მარაგი, უზრუნველყონ პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების მომზადება, აგრეთვე დადგენილ ვადებში შეასრულონ სოფლისა და წყალთა მეურნეობისათვის მოსავლის ასაღები ტექნიკის, ტრაქტორების, ავტომობილებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, ნავთობპროდუქტებისა და სხვა იმ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიწოდების დავალებანი, რომლებიც სჭირდება მოსავლის აღებას, საკვების დამზადებას და მეცხოველეობისა და საკვებმწარმოების მექანიზაციას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზს“, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ადგილობრივ სახოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციები დროზე მოემზადონ 1978 წლის მოსავლის ასაღებად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამამზადებლად, აგრეთვე წარმატებით გამოზამთრონ პირუტყვი 1978-79 წლის პერიოდში, რისთვისაც საჭიროა:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფისა და მოსავლის აღებისათვის და კალოებზე, დამამზადებელ პუნქტებში და შენახვის ადგილებზე მისი გადატანის დროს დანაკარგების თავიდან აცილებისათვის;

— უზრუნველყონ მარცვლეული კულტურების მთელი ნათესების სრული მოვლა-დაცვა და მათი, განსაკუთრებით საშემოდგომო კულტურებისა და სიმინდის ნათესების, გამოყენება მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებისამებრ;

— იმისდა მიხედვით, თუ როგორი პირობები შეიქმნება, დაიზუსტონ საკვების დამზადების დავალებანი 1978-79 წლის გამოზამთრების პერიოდში პირუტყვის უფრო სრული უზრუნველყოფის მიზნით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ თითოეულ მეურნეობაში ბივის, სენაჟის, სილოსის, ბალახის ფქვილის, გრანულირებული და დაბრიკეტებული საკვების დამზადების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, აგრეთვე მეურნეობებში საკვების რესურსების დამატებითი დაგროვებისა და რაციონალური გამოყენების მთელი რეზერვების ამოქმედებას;

— გამოუყონ საკვები კულტურების ნათესები მექანიზებულ ბრიგადებსა და საკვებმომამზადებელთა რგოლებს, ამასთან უზრუნველყონ ისინი საჭირო ტექნიკით და სასუქებით უხვი მოსავლის მოსაღებად;

— უხეში საკვების დამზადებასთან ერთად უზრუნველყონ მისი მიტანა პირუტყვის გამოზამთრების ადგილებში, რათა პირუტყვის ბაგური მოვლა-შენახვის დაწყებამდე ძირითადად დამთავრდეს საკვების მიტანა მეცხოველეობის ფერმებში, აგრეთვე განახორციელონ ხანძრისა და დატაცებისაგან საკვების დაცვის საჭირო ღონისძიებანი;

— 1978 წლის 1 ნოემბრამდე დაამთავრონ გამოსაზამთრებელი პირუტყვის მთელი სულადობის ვეტერინარული შემოწმება და ცხოველთა დაავადების თავიდან აცილების ვეტერინარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში არაორგანიზებულად და ნელა მიმდინარეობს ტექნიკის მომზადება, რის შედეგად ყოველწლიურად მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების დროს გამოუყენებელი რჩება მნიშვნელოვანი რაოდენობის მანქანები, და წინადადება მისცეს პარტიულ, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოებს კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელონ ტექნიკის რემონტის ტემპის დასაჩქარებლად. სახოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების დაწყებამდე არა უგვიანეს ორი კვირისა ყველა მეურნეობაში მთლიანად გაამზადონ ტრაქტორები, კომბაინები, სამკალი მანქანები, სათიბელები და მოსავლის ასაღები სხვა მანქანები, მარცვალსაშრობები, მარცვალსაწმენდი მანქანები, სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ტექნიკური მომსახურების სტაციონარული და მოძრავი პუნქტები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რემონტის ხარისხს, უზრუნველყონ სადისპეტჩერო კავშირის სათანადო მუშაობა, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა დროზე მოამზადონ მეცხოველეობის სადგომები, საკვების საამქროები, საწყობები, სასილოსეები და ბუნებაყეები, საშრობი პუნქტები და ამ ნაგებობათა მოწყობილობა.

წინადადება ეძლევათ უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ დაინერგოს მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების დროს შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, დააკომპლექტონ მოსავლის ასაღები და სატრანსპორტო აგრეგატები მაღალავტომატიზებული მექანიზატორებით. ფართოდ გაშალონ მოსავლის აღებაზე დასაქმებულ მუშათა სოციალისტური შეჯიბრება უმაღლესი შრომის ნაყოფიერების მისაღწევად სამუშაოთა მაღალი ხარისხისა და მოსავლის ასაღები მანქანების ტექნიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების პირობებში.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და სხვა მანქანათმშენებლობის სამინისტროებს წინადადება ეძლევათ მოაწყონ შესაბამისი ტექნიკის საგარანტიო მომსახურების ბაზებისა და საყოველთა პუნქტების შეუფერხებელი მუშაობა, დააკომპლექტონ აღნიშნული პუნქტები და ბაზები საჭირო რაოდენობის სათადარიგო ნაწილებით, კვანძებითა და აგრეგატებით მწყობრიდან გამოსული მოსავლის ასაღები ტექნიკის ოპერატიული აღდგენისათვის.

მათი ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა დროულად მოეწყოს საკვების დამზადება ნათესი ბალახებისა და ბუნებრივი ხაძოვრების მთელ ფართობებზე, აგრეთვე ველებში, ბაღებში, აგარებში, გზისპირა ზოლებსა და სხვა ნაკვეთებზე, რომლებიც ბალახითაა დაფარული, მაქსიმალურად გამოიყენონ ხაკვებად შაქრის ჭარხლის, კარტოფილის ღეროფოჩი, მეთოსტნეობის ნარჩენები, აგრეთვე ნამჯა, ბზე, კვების მრეწველობისა და საზოგადოებრივი კვების ნარჩენები, მომთაბარე მეცხოველეობის რაიონებში განახორციელონ საკვების დამზადებისა და ზამთრის საძოვრებზე მისი სადაზღვევო მარაგის შექმნის საჭირო ღონისძიებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“ და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, დაევალათ განახორციელონ 1978 წლის გეგმით გათვალისწინებული მეცხოველეობის სადგომებისა და საკვების საამქროების მშენებლობის დაჩქარებისა და ამოქმედების საჭირო ღონისძიებანი, ამასთან უზრუნველყონ, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცეს ისინი არა უგვიანეს 1978 წლის ნოემბრისა. უზრუნველყონ, რომ ასამუშავებელმა მშენებლობებმა მიიღონ ამისათვის საჭირო კომპლექტური ტექნოლოგიური და სხვა მოწყობილობა.

„საკსოფლტექნიკამ“ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გააფართოონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ტექნიკისა და საკვების გადასამუშავებელი და მოსამზადებელი მანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოები, უზრუნველყონ, რომ „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებებში შეიქმნას მეცხოველეობის ფერმების მოწყობილობისა და კვანძების, აგრეგატების და სრულკომპლექტიანი მანქანების საცვლელი ფონდი.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს წინადადება ეძლევა დაამთავროს ხორცის გადასამუშავებელ საწარმოთა რემონტი და მომზადება პირუტყვისა და ფრინველის ძირითადი შემოსვლის სეზონისათვის — არაუგვიანეს 1978 წლის 1 აგვისტისა და მეფრინველეობის კომბინატების რემონტი და მომზადება — არა უგვიანეს 1 ივლისისა, დააკომპლექტოს ეს საწარმოები კვალიფიციური მუშებითა და სპეციალისტებით, მოაწყოს ხორცის კომბინატებისა და მეფრინველეობის კომბინატების შეუფერხებელი მუშაობა პირუტყვის, ფრინველისა და ბოცვრების მიღებისა და გადამუშავებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოს მიღებული პირუტყვისა და ფრინველის ცოცხალი წონისა და ნასუქობის შენარჩუნება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და „საკსოფლტექნიკას“ დაევალათ უზრუნველყონ, რომ 1978 წლის მოსავლის აღებისათვის მოამზადონ „ტრანსსოფლტექნიკის“ სატრანსპორტო საწარმოთა ავტოკოლონები, დააკომპლექტონ სატვირთო ავტომობილები მძღოლთა შემადგენლობით ისე, რომ ერთ ავტომობილზე ორი მძღოლი მოდიოდეს.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც სატვირთო ავტომობილებს, მოსავლის ასაღებ და ახვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მათ სათადარიგო ნაწილებს, ტექნიკური რეზინის ნაწარმს, მოწყობილობასა და მასალებს უშვებენ, დაევალათ უზრუნველყონ, რომ ვადამდე დაამზადონ ისინი და დადგენილებით დაწესებულ ვადებში გაუგზავნონ სოფლისა და წყალთა მეურნეობას.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზისა“ და „საკსოფლტექნიკის“ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დამატებით გამოეყოთ მანქანები, მოწყობილობა, ნავთობპროდუქტები, სათადარიგო ნაწილები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები, ტექნიკური რეზინის ნაწარმი და ელექტროტექნიკური ნაკეთობანი.

(დასასრული ბე-2 გვ.).

ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრობა ურღვევია!

ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა ჯილდოები გადასცა გ. ჰუსაკსა და ვ. ბილიაკს

პრაღა, 31 მაისი. (საკადესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა დღეს პრაღის კრემლში საბჭოთა კავშირის მაღალი სახელმწიფო ჯილდოები გადასცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ჰუსაკს და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სამინისტროთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ბილიაკს.

ჯილდოების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და წევრობის კანდიდატები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები და სამდივნოს წევრები. ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები.

პრაღა. სურათზე: ჯილდოების გადაცემის დრო.

საკადეს-საქინფორმის ფოტო.

გ. ჰუსაკისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გადაცემის დროს გამოვიდა ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო ჰუსაკ!
პატივცემულო ამხანაგებო!

ჩვენი პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი დაკავშირებულია ნემთვის კიდევ ისეთ სასიამოვნო მისიასთან, როგორიც არის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გადაცემა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ გუსტავ ჰუსაკისათვის. ეს საბჭოთა ჯილდო მას მიენიჭა იმ თვალსაჩინო წვლილისათვის, რომელიც მას შეაქვს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში, მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცების საქმეში და დაბადების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით.

ეს-ეს არის, ესპანურ დარბაზში გამოსვლისას, ვალადარაკე სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის შესანიშნავ წარმატებებზე, რომლებთაც თქვენთან ერთად, ძვირფასო ამხანაგებო, ამაყობენ საბჭოთა ადამიანები — თქვენი მეგობრები და თანამებრძოლები. ეს წარმატებანი იმის ამპარა დადასტურებაა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტია სწორ გზას ადგას, რომ შრომელებს სწამთ პარტიისა, მხარს უჭერენ მის გეგმებსა და წამოწყებებს. და ამაში დიდი პირადი დამსახურება მიუძღვის ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა აღიარებულ და ავტორიტეტიან ხელმძღვანელს ამხანაგ ჰუსაკს.

ამხანაგ ჰუსაკის ცხოვრების გზას ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ. ყველაზე დიდ აღიარებას იმსახურებს მისი აქტიური მონაწილეობა სლოვაკიის გმირულ ეროვნულ-აჯანყებაში, მისი წვლილი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებასა და ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური წყობილების დამკვიდრებაში, მისი თვალსაჩინო როლი უკვე ათი წლის მანძილზე პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობაში.

ჩვენ დიდი ვიცემთ პატივს და გვიყვარს ამხანაგი ჰუსაკი პრინციპულობის, პოლიტიკური ერუდიციისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალების ერთგულებისათვის, კომუნისტური ამხანაგობის ურყევი გრძნობისათვის.

გადმოგცემთ რა თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ჰუსაკ, ორი ლენინის ორდენის კავალერს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენს, სულითა და გულით მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, მრავალ და მრავალ წელს ასეთივე ნაყოფიერი მუშაობა სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ.

შეკრებილთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში ლ. ი. ბრეჟნევმა გ. ჰუსაკს გადასცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, გულთადად მიულოცა ჯილდო.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გ. ჰუსაკმა.

ამხანაგ გ. ჰუსაკის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!
ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, მადლობა მოვახსენო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მადლობა მოგახსენოთ პირადად თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ, ასეთი დიდი პატივისთვის — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებისათვის.

ამ ჯილდოს რომ ვიღებ, იგი მიმაჩნია სოციალიზმის მშენებლობაში, ჩვენი ძმობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, ჩვენი კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის საქმიანობის მაღალ შეფასებად.

თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, ძალიან კარგი სიტყვებით მოიხსენიეთ ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი და სოციალისტური ჩეხოსლოვაკია. ყველაფერი, რასაც ამ მიმოხილვაში ჩეხოსლოვაკიაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მაღალი ჰუმანისტური იდეალების ხორციშესხმის შედეგი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური პარტია და ჩვენი ხალხი აღწევდნენ წარმატებებს და ჩვენც კარგად მიგვდიოდა ხაქმე მაშინ, როცა მტკიცედ ვიცავდით მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, როცა ჩვენს პარტიებსა და ქვეყნებს აერთიანებდათ მტკიცე კავშირი, ძმობა და თანამშრომლობა.

მადლობას მოგახსენებთ ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებისათვის და მინდა ვთქვა, რომ ოქტომბრის, ჩვენი საერთო მოძღვრების, ჩვენი კავშირისა და ძმობის ყველა დიად იდეალს კიდევ უფრო ინტენსიურად, კიდევ უფრო მეტი გამოცდილების საფუძველზე შეეასხმთ ხორცს. ორდენი, რომელიც დღეს გადმოგეცით, ჩემთვის ახალი ვალდებულებაა იქნება ამ მიმართულებით ინტენსიური საქმიანობისათვის. გმადლობთ.

შემდეგ გაიმართა ვ. ბილიაკის დაჯილდოება.

მისთვის ლენინის ორდენის გადაცემის დროს გამოვიდა ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო ბილიაკ!
პატივცემულო ამხანაგებო!

უნდა შეეასრულო კიდევ ერთი მეტად სასიამოვნო მოვალეობა — ლენინის ორდენი გადაეცეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ვასილ ბილიაკს.

თქვენ, ამხანაგო ბილიაკ, ეს ჯილდო დიამსახურეთ მებრძოლი კომუნისტის ცხოვრებითა და საქმიანობით. ჩვენ ყველანი გაცნობთ როგორც თვალსაჩინო პარტიულ და საზოგადო მოღვაწეს. ამხანაგ ჰუსაკის ერთგულ თანამებრძოლს, გაფასებთ მაღალი სულიერი თვისებებისათვის, კომუნისტური მრწამსისა და პრინციპულობისათვის.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ თქვენ დიდი შრომა მოაბამრეთ ჩვენი ორი მოძმე პარტიის თანამშრომლობის განვითარებისათვის, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის გაღრმავებისათვის ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

და კიდევ საჭიროდ მიმაჩნია ვთქვა ერთი რამ. თქვენი საქმიანობა ყოველთვის იყო და არის კომუნისტთა ინტერნაციონალური მოვალეობის, საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში მათი შეკავშირების მნიშვნელობის ღრმა და მკაფიო გაგების მაგალითი.

გადმოგცემთ რა თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ლენინის ორდენს, სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ მუშაობაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა შეკრებილთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში ლენინის ორდენი გადასცა ვ. ბილიაკს და გულითადად მიულოცა ეს ჯილდო.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ვ. ბილიაკმა.

ამხანაგ ვ. ბილიაკის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურო მდივანო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეო!

პატივცემულო ამხანაგებო!

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ჩემი მოკრძალებული მუშაობის დაფასებისათვის. ძალიან ვწუხვარ, რომ არ მყოფნის მშვენიერი სიტყვიერება ყოველივე იმის გამოსახატავად, რასაც ვგრძნობ და განვიცდი.

უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ამ მაღალ ჯილდოს სწორედ თქვენგან, თქვენი ხელიდან ვიღებ, პატივცემულო ლენინდ ილიას ძეო. ამ დიდი პატივის ღირსად თავს ვცნობ მხოლოდ იმის შეგნებით, რომ ეს არის არა მარტო ჩემი მუშაობის დაფასება, არამედ ჩეხოსლოვაკიის მთელი კომუნისტური პარტიის, ყველა იმ ამხანაგის საქმიანობის დიდი აღიარებაც, რომლებიც კეთილსინდისიერი შრომით ამშენებენ სოციალიზმს, უფრთხილდებიან და გახამტკიცებენ ჩვენი პარტიებისა და ხალხების ძმობასა და მეგობრობას.

ჩემი ცხოვრების მანძილზე არაჩვეულებრივი არაფერი გამიკეთებია. მე ერთ-ერთი ვარ ასი-ოასობით ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთაგან, იმ იდეალებისათვის რომ ცხოვრობენ და მუშაობენ, რომლებითაც აშენა საბჭოეთი, რომელთა გულისათვისაც თავს სდებდა მილიონობით ადამიანი სამხედროებში და სამამულო ომებში. მე ერთი ამათგანი ვარ, ვინც იბრძოდა და იბრძვის ლენინური სიმართლის გამარჯვებისათვის, იმ სიმართლის გამარჯვებისათვის, დღეს რომ შთაგაგონებს მთელი მსოფლიოს ასმილიონობით ადამიანს იბრძოლონ პროგრესისათვის, მშვიდობისა და ადამიანის ბედნიერებისათვის.

მე სამშობლოს, მშრომელი კაცის სოყვარულმა მომიყვანა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის რიგებში, რაც უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენი სამშობლოს ბედნიერ განვითარებასა და მომავალს სამუდამოდ უზრუნველყოფს მხოლოდ მტკიცე კავშირი საბჭოეთთან, მით უფრო ძლიერ მიყვარდებოდა და აღმაფრთოვანებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოეთი, რომელიც ისტორიამ მსოფლიო პროგრესის წინამძღოლად დააყენა.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სამშობლო საბჭოთა კავშირის მხარდამხარ მიაბიჯებს სოციალიზმის გზით, რომ ჩვენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ოჯახის მტკიცე შემადგენელი ნაწილი ვართ.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი თავდადებული შრომით ასრულებს ამოცანებს, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობამ დასახა. წარმატებები, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, სწორედ იმის მეოხებით არის მოპოვებული, რომ ჩვენ მარტონი არ ვიყავით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი როგორც ლენინში, ისე ჭირში ყოველთვის მხარში გვედგნენ. ჩვენ მუდამ ვგრძნობდით და ვგრძნობთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალურობა კომიტეტისა და პირადად თქვენს დახმარებას, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეო, რაც რწმენასა და სიმტკიცეს გვმატებს.

ერთხელ კიდევ სულით და გულით მოვახსენებ მადლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს და პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეო, ჩემი მოკრძალებული შრომის ასეთი დაფასებისათვის. და მე კვლავაც ვიმუშავებ ისე, რომ ღირსეულად ვატარო ლენინის ორდენი.

დარბაზში მყოფმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, საბჭოთა სტუმრებმა გულთბილად მიულოცეს ამხანაგებს გ. ჰუსაკსა და ვ. ბილიაკს საპატიო საბჭოთა ჯილდოები.

საბჭოთა დელეგაცია ბრატისლავაში ჩავიდა

31 მაისს საღამოს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობს, პრაღიდან ბრატისლავაში გაემგზავრა.

საბჭოთა სტუმრებთან ერთად გაემგზავრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები გ. ბილიაკი და ი. კემმნი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჩ. ლოვეტინსკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო პოლიტიკის განყოფილების გამგე მ. შტეფანიკი.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ბრატისლავის აეროდრომზე ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ჰუსაკს, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს, მათთან ერთად ჩამოსულ ჩეხოსლოვაკიელ ოფიციალურ პირებს დახვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ლენარტი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე პ. ცოლოტა, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

სტუმრებს გულთბილად მიესალმებოდნენ სოციალისტური სლოვაკიის დედაქალაქის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. (დაბოლოს).

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის საუბარი

სლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან



ბრატისლავა. 1 ივნისს ბრატისლავის კრემლში გაიმართა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის საუბარი სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობისა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან. სურათზე: საუბრის დროს.

საკადრესის სპეციალური კორესპონდენტების ვ. მუსაელიანისა და ვ. სიბოლევის ტელეფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ივნისს ბრატისლავის კრემლში გაიმართა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის საუბარი სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობისა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან.

საუბარში მონაწილეობდნენ საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, დელეგაციის წევრები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსანოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ო. შალევიჩი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. ვ. მაცკევიჩი.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს პრაღიდან დელეგაციასთან ერთად ჩამოსულმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა, ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ვ. ბილიაკმა და ი. კემპნიმ.

სტუმრები მიიღეს სლოვაკიის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა: ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ლენარტმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ჰ. �ლოტკამ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობაკანდიდატმა, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა მ. გრეშკოვიჩმა, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა: ვ. შალგოვიჩმა, ლ. აბრაჰამმა, ი. იანაკმა, ი. იანიკმა, ე. ლიტვაიოვამ, ლ. პეზლარმა, გ. შლაპკამ, მ. ვალეკმა, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ მ. ბოდიამ, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრებმა, სლოვაკიის ეროვნული საბჭოს, რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებმა, სლოვაკიის ეროვნული ფრონტის შემადგენლობაში შემავალ პარტიათა ხელმძღვანელებმა.

ამხანაგი ლენარტი გულთბილად მიესალმა სლოვაკიის მეწარყალზე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. იგი დელეგაციის წევრებს ესაუბრა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ სლოვაკი კომუნისტები, სლოვაკი ხალხის იმ მტკიცე გადაწყვეტილებაზე, რომ გააძლიერონ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის კურსი — ამაღლოს მთელი მუშაობის ეფექტიანობა, და გაიუმჯობესოს ხარისხი, იმაზე, თუ რა წარმატებით გითარდება სლოვაკიის სახალხო მეურნეობა, რომლის წინაშე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ერთობლივ პროდუქციის შექმნაში თითქმის 30 პროცენტს მიაღწია და სწრაფი ტემპით იზრდება. სამოცდაათიანი წლები, ხაზი გაუსვა ამხ. ლენარტმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის ყველაზე წარმატებული მშენებლობის პერიოდია, და ეს მთლიანად ეხება სლოვაკიასაც.

ქვეყანაში შექმნილია ჩეხოსლოვაკიის ერებისა და ეროვნებების ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების კარგი პირობები, თქვა ამხანაგმა ლენარტმა. მიღწეულ წარმატებათა დიდმნიშვნელოვანი საწინდარია ის, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა შეიჭრა მეოცე საუკუნის ბრძოლაში. ამხანაგმა ბრეჟნევმა მადლობა გადაუხადა ამხანაგ ლენარტს ინფორმაციისათვის სოციალისტური სლოვაკიის ცხოვრების შესახებ. სლოვაკიის ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი განვითარება მნიშვნელოვანი წვლილია ჩეხოსლოვაკიის ორივე ნაწილში ეკონომიკური დონისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში. ეს შესაძლებელი გახდა იმის მეობებით, რომ ეროვნული საკითხი თანამიმდევრულად ლენინურად წყდება, რაც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება.

სასიხარულოა სლოვაკიის აქტიურად მონაწილეობა სსრ კავშირთან ეკონომიკურ და სხვაგარ თანამშრომლობაში, თქვა ამხანაგმა ბრეჟნევმა. ამასთან მან სავანგებოდ აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო ოლქების უშუალო კავშირურთიერთობას, მათ შორის ეკონომიკურსაც.

დასასრულ ამხანაგმა ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა მომძე ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის მიმდინარეობას, ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებთან პრაღაში გამართული მოლაპარაკების მნიშვნელობას. ეს მოლაპარაკება, თქვა მან, დაგვეხმარება დავსახოთ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების მიმართულებანი.

ჩეხოსლოვაკიის წარმატებანი საშინაო განვითარებაში და საერთაშორისო ასპარეზზე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პრეზიდიუმისა და მისი მეთაურის ამხანაგ ჰუსაკის დამსახურება, ასევთასობით ჩეხი და სლოვაკი კომუნისტის დამსახურებაა, ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ბრეჟნევმა. მან სლოვაკიის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს უსურვა ახალი წარმატებანი დიდ და პასუხსაგებ მუშაობაში.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდნენ ოკრეთვე საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ხ. შანსაზაროვი, ჩეხოსლოვაკიის მხრივ — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სამდივნოს გამგე ვ. ვაინარი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჩ. ლოვეტინსკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო პოლიტიკის განყოფილების გამგის მოადგილე მ. შტეფანიაკი.

(საკადრესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ბანი, ხაბურაგეები, ლითონის ნაწარმი, ლითონი და სხვა მასალები.

დადგენილია, რომ ნაწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის მანქანებს, მოწყობილობასა და სათადარიგო ნაწილებს ამზადებენ, პირველ რიგში მიიღებენ ლითონის ნაგლინს, მილებს, მასალებს, ნამზადებსა და მაკომპლექტებელ ნაწარმს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და „საკოფლტექნიკას“ წინადადება მიეცეს 1978 წლის მოსავლის აღებისათვის იმდენი ნაწვავ-საპოხი მასალები დაიგროვონ, რამდენიც უზრუნველყოფს ავტოსატრაქტორო პარკის შეუფერხებელ მუშაობას, მკაცრი კონტროლი დაუწესონ მეურნეობებში ნავთობპროდუქტების გამოყენებასა და შენახვას, არ დაუშვან არადანიშნულებისამებრ მათი გამოყენება, აგრეთვე განაახორციელონ ღონისძიებანი მოქმედი ნორმების შესაბამისად ნაწვავ-საპოხი მასალების მომჭირნედ ხარჯვისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და „საკოფლტექნიკას“ წინადადება ეძლევათ განახორციელონ მარცვლეულის უსაფრთხოებად აწონასა და დიდტერიტორიანი ავტომობილებიდან და ავტომატარებლებიდან, რკინიგზის ვაგონებიდან გადმოტვირთვის უზრუნველყოფის საჭირო ღონისძიებანი, საჭირო რაოდენობით დააკომპლექტონ პურის მიმღებ საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებები ლაბორანტებით, რათა დროზე და სწორად განსაზღვრონ მარცვლეულის და, უწინარეს ყოვლისა, თავთუხის ხარისხი, უზრუნველყონ სატრანსპორტო ბრიგადებისა და ავტომატარებლების საავტომობილო რაზმების შექმნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასაზიდად, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიამაგრონ პურის მიმღებ საწარმოებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩასაბარებლად, შეიმუშაონ და დაამტკიცონ ტვირთზიდვის გრაფიკები (სადღეღამისო მუშაობის გათვალისწინებით), შექმნან რაიონებში, ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში ოპერატიული სადისპეტჩერო ჯგუფები მარცვლეულის გადაზიდვის ხელმძღვანელობისა და ავტოტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ მოხავლის აღებაზე გამოყენონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სატვირთო ავტომობილები და ბორტიანი ავტომისაბმელები მძღოლთა შემადგენლობითა და ხარემონტო ხაშუალებებითურთ, სამინისტროთა და უწყებათა ავტომობილების გარდა დაჩტკიცებული ნუსხის მიხედვით.

განსაზღვრა მოხავლის ახალებად გასაგზავნი სატვირთო ავტომობილებისა და ბორტიანი ავტომისაბმელების რკინიგზით გადაზიდვის ხარჯების ანაზღაურების გადაზიდვისათვის, მათ შორის სიღრმისეული პურის მიმღები საწარმოებიდან სახაო საწარმოებში მარცვლეულის გადაზიდვისათვის. ზეთოვანი კულტურების თესლის, შაქრის ჭარხლის, ბაჯბახა და 1978 წლის სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის, აგრეთვე სასილოსე მასის გადაზიდვისათვის, ძირითადი მუშაობის ადგილიდან დროებითი მუშაობის ადგილზე და უკან მძღოლთა მგზავრობისათვის ავტომობილების მფლობელებთან და მძღოლებთან ანგარიშსწორების ახ წესი, რომელიც 1977 წელს მოქმედებდა. ეს წესი ვრცელდება აგრეთვე ხახენაუე მასის გადაზიდვაზე.

საჭიროდ არის მიჩნეული მოეწყოს სატვირთო ავტომობილების სადღეღამისო მუშაობა მარცვლეულისა და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაზიდვის დროს. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და ოლქთა აღმასკომებს დაევალათ უზრუნველყონ მოხავლის აღებაზე მომუშავე ყველა ავტომობილის დაკომპლექტება მძღოლთა შემადგენლობით ისე, რომ ერთ ავტომობილზე ორი მძღოლი მოდიოდეს, ამასთან საჭიროებისამებრ ამუშაონ სახალო მეურნეობის სხვა დარგების მძღოლები.

გათვალისწინებულია, რომ მარცვლეულის, სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების, სასილოსე და სასენაჟე მასის გადასაზიდად მივლინებულ ავტომობილებს, შემეკვეთელ მუშებს, მექანიკოსებს, ავტოელექტრიკოსებს და საავტომობილო მეურნეობათა დისპეტჩერებს, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობთაშორისო სახარმო-ორგანიზაციათა ავტომობილების მძღოლებს შეენახოთ ხაშუალო გამომუშავების 75 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ ძირითად სამუშაოზე მათთვის დადგენილი სატარიფო განაკვეთისა მივლინების მთელი დროისათვის. აღნიშნულ თანხას საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უსდიან ამ მუშაკებს ძირითადი მუშაობის ადგილზე, ხოლო კოლმეურნეობებიდან და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმო-ორგანიზაციებიდან მივლინებულ მძღოლებს, — მათს სამუშაო ადგილზე ორგანიზაციებისა და მეურნეობებში მოხავლის აღებისას. ამასთან დაკავშირებით მივლინებულ მუშაკებს დღიური და ბინის ფული არ მიეცემათ.

მძღოლებისათვის, რომლებიც 1978 წლის მოხავლის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გადასაზიდად დიდტერიტორიან ავტომობილებსა და მისაბმელებიან ავტომობილებზე (ავტომატარებლებზე) მუშაობენ, დაწესებულია დამატებითი პრემირება სატარიფო განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით, რომელიც დაერიცხებათ თითოეულ ცვლაში მუშაობის შედეგებისათვის, იმ პირობით, თუ ცვლის დავალებებს შეასრულებენ სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობის განმავლობაში.

ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის მძღოლთა პრემირების წინათ განსაზღვრულ ღონისძიებათა დამატებით დაწესებულია კომბაინებიდან მარცვლეულისა და შაქრის ჭარხლის გამოზიდვასა და დამამზადებელ პუნქტებში მიტანაზე ორ ცვლად მუშაობე შოფრების (ორი მძღოლი ერთ ავტომობილზე) პრემირება, დღე-ღამეში სულ ცოტა 20 ხაათს ავტომობილების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის სატარიფო განაკვეთის 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო ციმბირის, ურალის, ქვემო და შუა ვოლგისპირეთისა და უკაზბეთის სსრ უამრავი რაიონებში მარცვლეულის გზიდვაზე მომუშავე მძღოლთა პრემირება — სატარიფო განაკვეთის 40 პროცენტის ოდენობით. პრემიები ერიცხებათ მუშაობის სადღეღამისო შედეგების მიხედვით, თუ შეასრულებენ სადღეღამისო დავალებებს და ჩაბარებენ გამართულ ავტომობილს მომდევნო დღე-ღამეში მუშაობისათვის. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ პრემიებს მძღოლებს გადაუხდიან ის საწარმოები და ორგანიზაციები, სადაც ისინი მივლინებული არიან.

ხაბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მემანქანე ტრაქტორისტებს, რომლებიც მუშაობენ კომბაინებსა და მოსავლის ასაღებ სხვა აგრეგატებზე მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების, მრავალწლიანი ბალახების სათესლეების, ბამოკვეთ ხელის, სასილოსე და ხაკვები კულტურების აღებაზე, გათვალისწინებულია მეურნეობაში დაწესებული სეზონური ნორმის შესრულებისათვის, ამასთან თუ მოხავლის ხარისხიანად და უდანაკარგოდ აიღებენ, მიეცეთ 2-დან 4 ცენტნერამდე მარცვლეული (უფასოდ). გათვალისწინებულია აგრეთვე კომბაინებისა და მოსავლის ასაღებ აგრეგატების სხვა მუშაკებს მიეცეთ მარცვლეული ტრაქტორზე მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტს კომბაინზე მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტისათვის დარიცხული მარცვლეულის რაოდენობის 80 პროცენტის ოდენობით, კომბაინზე მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტის თანაშემწეს — თითოეულს 70 პროცენტის და დამბოლოელებელს — 50 პროცენტის ოდენობით.

ამასთან ხურვილისამებრ ნატურალური ანაზღაურება შეიძლება შეიცვალოს ფულით ამ მარცვლეულის ჩასაბარებელი ფასების ღირებულების ოდენობით, რომელიც ერიგება.

გათვალისწინებულია ხამკელ მანქანებზე მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტებს პურეულის ღვარეულებად მომკის დროს ციმბირის, ურალის, შორეული აღმოსავლეთისა და უკაზბეთის უამრავი რაიონების მეურნეობებში თითოეული კულტურის მოხავლის მასობრივი აღების პირველ 7 დღეში, ხოლო დანარჩენ რაიონებში პირველ ხუთ დღეში მიეცეთ 0,5 კილოგრამამდე მარცვლეული მოხავლისა და მისი აღების პირობების შესაბამისად. ხოლო ბარდის აღებისას — 1,5 კილოგრამამდე ყოველი მომკილი ჰექტარისათვის.

ხაბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს ნება დაერთოთ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, კენკრისა და ბაღჩეულის მოხავლის ათამდე პროცენტი ხელფასის ანგარიშში მიმყოფილ ხაბჭოთა მეურნეობების მუდმივ მუშაკებს, აგრეთვე ამ კულტურების მოხავლის აღებაზე მოწვეულ მუშაკებს ხაგებო თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს ხაკალო ფასებისა.

რეკომენდებულია კოლმეურნეობებშიც იქნეს გამოყენებული ხაბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა ამგვარი ჯახალისება.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მოხავლის ახალებ-ხატრანსპორტო კომპლექსების მუშაკთა მატერიალური დაინტერესება შემეჯდრობებულ ვადებში და უდანაკარგოდ მოხავლის აღებით, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის ხოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად წინადადება მიეცეთ განიხილონ და გადაწყვიტონ ხაკითხი, რომ 1978 წლის 1 სექტემბრამდე მოაწყონ დამატებითი ჭარხლის მიმღები პუნქტები, რკინიგზის სადგურებსა და მყარსაფარიანი გზების მახლობლად, რათა შემცირდეს შაქრის ჭარხლის გადაზიდვის მანძილი და კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მისი გაზიდვის ვადები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება მიეცეთ მემანქანე ტრაქტორისტებსა და სხვა მექანიზატორებს, რომლებიც 1978 წელს მოხავლის ასაღებ სამუშაოებსა და უხეში ხაკვების დამზადებისათვის მიღიან სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აუნაზღაურონ გზის ფული დროებით სამუშაო ადგილამდე და უკან, გადაუხადონ მათ ხაშუალო ხელფასი გზაში ყოფნის დროისა და საბჭოთა მეურნეობასა თუ კოლმეურნეობაში ჩასვლის შემდეგ პირველი სამი დღისათვის. აღნიშნულ მექანიზატორებს შრომა აუნაზღაურონ მოცემულ საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ნორმებითა და ფასდებებით. ამ მუშაკებს ენახებთან ძირითად სამუშაო ადგილზე თავიანთი ხაშუალო ხელფასის 75 პროცენტი. ამასთან დაკავშირებით მივლინებულ მექანიზატორებს არ მიეცემათ დღიური და ბინის ფული.

კოლმეურნეობებს რეკომენდაცია მიეცათ მივლინებულ მექანიზატორებს შრომა აუნაზღაურონ საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ნორმებისა და ფასდებების შესაბამისად.

კოლმეურნეობებიდან მივლინებულ მექანიზატორებს ერიცხებათ ხელფასის წანამატი სპეციალობით მუშაობის სტაჟისათვის იმ ოდენობით, რომელიც ძირითად სამუშაოს ადგილას არის დაწესებული. აღნიშნულ წანამატს იხდიან მეურნეობები, სადაც მექანიზატორები არიან მივლინებული მოსავლის აღებისათვის.

გზათა სამინისტროს დაევალა 1978 წლის 1 მაისამდე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განცხადებით გადაზიდონ კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სხვა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში დამზადებული ეხეში ხაკვები მოქმედ ტარიფთან შედარებით 50 პროცენტით შემცირებული ტარიფის მიხედვით, არ გადაახდევინონ ჯარიმები, თუ ვაგონები მთლიანად არ იქნება დატვირთული დაწნეხილი ეხეში ხაკვების მოცულობით მათი სრული დატვირთვის დროს.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უკაზბეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მიეცათ უფლება ნება დართონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ნაღდ ანგარიშზე სახელმწიფო შესასყიდი ფასებით რუსეთის სფსრ და უკაზბეთის სსრ უამრის რაიონებში მოხავლის ასაღებად ჩამოსული მემანქანე ტრაქტორისტებსა და მემანქანე ტრაქტორისტთა თანაშემწეებს, რომლებმაც შეასრულეს ამ რაიონებში კომბაინებზე გამომუშავების ხეზონური ნორმა, მიაყიდონ მარცვლეული 10 ცენტნერამდე ოდენობით, ხოლო იმ მემანქანე ტრაქტორისტებსა და მემანქანე ტრაქტორისტთა თანაშემწეებს, რომლებიც ხეზონურ ნორმას ვერ შეასრულებენ, მიაყიდონ მარცვლეული ნაკლები ოდენობით საბჭოთა მეურნეობის დირექტორის თუ კოლმეურნეობის გამგეობის შეხედულებისამებრ, კომბაინებზე ხეზონური ნორმის შესრულების მიხედვით.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს ნება დაერთო მიიღოს 1978 წელს, გამონაკლისის ხახით, რუსეთის სფსრ და უკაზბეთის სსრ უამრის რაიონებში მოხავლის ასაღებად ჩამოსული მემანქანე ტრაქტორისტებისაგან, მემანქანე ტრაქტორისტთა თანაშემწეებისა და ავტომობილის მძღოლებისაგან, მათ მიერ გამომუშავებული მარცვლეული სადგურისპირა პურის მიმღებ საწარმოებში 14-14 ცენტნერამდე ოდენობით, ხოლო სხვა რაიონებში მოხავლის ასაღებად ჩასულთაგან — 4-4 ცენტნერამდე, თუ ისინი წარუდგენენ ცნობას მოხავლის აღების დროს გამომუშავებული მარცვლეულის რაოდენობის შესახებ, და მისცენ მათ იგივე რაოდენობის მარცვლეული მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება მიეცეთ ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ნაღდ ანგარიშზე სახელმწიფო შესასყიდი ფასებით რუსეთის სფსრ და უკაზბეთის სსრ უამრის რაიონებში მოხავლის ასაღებად ჩამოსული მემანქანე ტრაქტორისტებსა და მემანქანე ტრაქტორისტთა თანაშემწეებს, რომლებმაც შეასრულეს ამ რაიონებში კომბაინებზე გამომუშავების ხეზონური ნორმა, მიაყიდონ მარცვლეული 10 ცენტნერამდე ოდენობით, ხოლო იმ მემანქანე ტრაქტორისტებსა და მემანქანე ტრაქტორისტთა თანაშემწეებს, რომლებიც ხეზონურ ნორმას ვერ შეასრულებენ, მიაყიდონ მარცვლეული ნაკლები ოდენობით საბჭოთა მეურნეობის დირექტორის თუ კოლმეურნეობის გამგეობის შეხედულებისამებრ, კომბაინებზე ხეზონური ნორმის შესრულების მიხედვით.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს ნება დაერთო მიიღოს 1978 წელს, გამონაკლისის ხახით, რუსეთის სფსრ და უკაზბეთის სსრ უამრის რაიონებში მოხავლის ასაღებად ჩამოსული მემანქანე ტრაქტორისტებისგან, მემანქანე ტრაქტორისტთა თანაშემწეებისა და ავტომობილის მძღოლებისაგან, მათ მიერ გამომუშავებული მარცვლეული სადგურისპირა პურის მიმღებ საწარმოებში 14-14 ცენტნერამდე ოდენობით, ხოლო სხვა რაიონებში მოხავლის ასაღებად ჩასულთაგან — 4-4 ცენტნერამდე, თუ ისინი წარუდგენენ ცნობას მოხავლის აღების დროს გამომუშავებული მარცვლეულის რაოდენობის შესახებ, და მისცენ მათ იგივე რაოდენობის მარცვლეული მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება მიეცეთ მემანქანე ტრაქტორისტებსა და სხვა მექანიზატორებს, რომლებიც 1978 წელს მოხავლის ასაღებ სამუშაოებსა და უხეში ხაკვების დამზადებისათვის მიღიან სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აუნაზღაურონ გზის ფული დროებით სამუშაო ადგილამდე და უკან, გადაუხადონ მათ ხაშუალო ხელფასი გზაში ყოფნის დროისა და საბჭოთა მეურნეობასა თუ კოლმეურნეობაში ჩასვლის შემდეგ პირველი სამი დღისათვის. აღნიშნულ მექანიზატორებს შრომა აუნაზღაურონ მოცემულ საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ნორმებითა და ფასდებებით. ამ მუშაკებს ენახებთან ძირითად სამუშაო ადგილზე თავიანთი ხაშუალო ხელფასის 75 პროცენტი. ამასთან დაკავშირებით მივლინებულ მექანიზატორებს არ მიეცემათ დღიური და ბინის ფული.

კოლმეურნეობებს რეკომენდაცია მიეცათ მივლინებულ მექანიზატორებს შრომა აუნაზღაურონ საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ნორმებისა და ფასდებების შესაბამისად.

კოლმეურნეობებიდან მივლინებულ მექანიზატორებს ერიცხებათ ხელფასის წანამატი სპეციალობით მუშაობის სტაჟისათვის იმ ოდენობით, რომელიც ძირითად სამუშაოს ადგილას არის დაწესებული. აღნიშნულ წანამატს იხდიან მეურნეობები, სადაც მექანიზატორები არიან მივლინებული მოსავლის აღებისათვის.

გზათა სამინისტროს დაევალა 1978 წლის 1 ოქტომბრიდან 1979 წლის 1 მაისამდე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განცხადებით გადაზიდონ კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სხვა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში დამზადებული ეხეში ხაკვები მოქმედ ტარიფთან შედარებით 50 პროცენტით შემცირებული ტარიფის მიხედვით, არ გადაახდევინონ ჯარიმები, თუ ვაგონები მთლიანად არ იქნება დატვირთული დაწნეხილი ეხეში ხაკვების მოცულობით მათი სრული დატვირთვის დროს.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უკაზბეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მიეცათ უფლება ნება დართონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ნაღდ ანგარიშზე სახელმწიფო შესასყიდი ფასებით რუსეთის სფსრ და უკაზბეთის სსრ უამრის რაიონებში მოხავლის ასაღებად ჩამოსული მემანქანე ტრაქტორისტებისა და მემანქანე ტრაქტორისტთა თანაშემწეებისა, — ეს ეხება ამ მუშაკთა ბინის ფასის ანაზღაურებას

ერთი სამკერვალო გაერთიანების სატკივარი

ყინული არ დაძრულა...

ბათუმის სამკერვალო გაერთიანების მეთაური საწარმოსა და სამი ფილიალის მრავალრიცხოვანი კოლექტივის წარმომადგენლები შეიკრიბნენ სამეურნეო აქტივის კრებაზე. ვიცოდით, რომ კრებაზე პირადვინელი და გულადი კამათი გაიმართებოდა იმ საჭირბოროტო საკითხებსა და პრობლემებზე, რომლებიც საწარმოს წინაშე დგას და უაღლოეს დონეზე გადაწყვეტას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ ბათუმის სამკერვალო გაერთიანება სხვა საწარმოებთან ერთად ჯიკრიტიკულად იყო ბიუროს „პრავდაში" დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გამო.

რატომ აღმოჩნდნენ ბათუმელი მკერავები ასეთ მდგომარეობაში? ეს ხომ ის საწარმოა, რომელსაც ბოლო წლებში არაერთი გამარჯვება უზეიმია, დიდი გადაჭარბებით შეესრულებია სახელმწიფო გეგმები. მათი 10 სახეობის პროდუქციის მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. ერთი სიტყვით, ისინი ქალაქის მოწინავე საწარმოთა შორის ითვლებოდნენ. მეთხუთმეტ ამისა, წინა და რეკლამაციას თავი მაინც ვერ დააღწიეს. ვისი მიზეზით მოიგიდოთ ასეთი მარცხი? რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მდგომარეობა რადიკალურად გამოსწორდეს — აი საკითხები, რომლებიც გაერთიანების წინაშე დგება.

ერთი რამეც აღსანიშნავია: აქტივის კრებაზე სხვის კლუბში მიგვიწვიეს. ორი ათას შვიდას კაციან კოლექტივს საკუთარი კლუბიც არა აქვს.. ხუთი წლის წინათ საწარმოში პარტიული ორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნებს ვესწრებოდი. კრება სასადილოში ჩატარდა. აყირავებული, ერომანეთზე შეწყობილი სკამები და მაგიდები, კერძის სუნით გაჟღენთილი დარბაზი.... ადვილი წარმოსადგენია, ასეთ გარემოში როგორი განწყობილებაც იქნებოდა კრებაზე. საქმე მხოლოდ კლუბს როდი შეეხება. იქ წელზე შეტია, მკერავებისათვის არც ერთი საკუთარი სანატორიუმი არ აშენებულა, მთავარი კორპუსები ხანდაზმული და ამორტიზებულია, შრომის პირობებიც შეუფერებელი.

აქტივის კრებაზე საქმიანი, მკაცრი კამათი გაიმართა, რომლის მსალელობაში უამრავი მტკივნეული საკითხი წამოიჭრა.

ითქვა: ბათუმის სამკერვალო გაერთიანებას ოთთის სამკერვალო ფაბრიკა 1970 წელს შეუერთდა. შემდეგ ფილიალები გაიხსნა ხულოსა და ლანჩხუთში და ასე შეიქმნა სამკერვალო გაერთიანება. სამივე ფილიალი მეთაური საწარმოდან ას-ასი კილომეტრით არის დაშორებული და ყველა სხვადასხვა მხარეს მდებარეობს. არა აქვთ საკუთარი ტრანსპორტი. ამიტომ, ადვილი მისახვედრია, ხულოდან არასპეციალური, დაჭარაგებული სატვირთო მანქანით ბათუმში ჩამოტანილი დაუთოებული ტანსაცმელი როგორი იქნება. ხულოს ფილიალში, სადაც დასაქმებულია 400 მკერავი, შტატით უნდა იყოს 5 ინჟინერი და 15 საშუალო ტექნიკური სპეციალისტი, მაგრამ არც ერთი არ ჰყავთ, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე.

ჯერ კიდევ 1976 წლის იანვარში გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა კრიტიკული წერილი ხულოს ფილიალში არსებული მდგომარეობის შესახებ. აღნერდნენ, რომ მკერავებს არ აქვთ შესაფერისი შრომის პირობები, საწარმოს ფიცარული, ძველისძველი შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. არც წელს აქვთ უკეთესი მდგომარეობა. ითქვება ილეტროდენი, მასალების ორიგინალ მოწოდების გამო საწარმო დროულად არ მარაგდება ნახევარფაბრიკატებით, ამიტომაც ფილიალი, მაგალითად, შარშან 57 დღეს უქმად იყო.

ორი წელი გავიდა, რაც საქართველოს სსრ მსგბუქი მრეწველობის სამინისტრომ რედაქციას აცნობა: „სამინისტროს საპროექტო-ტექნოლოგიური ბიურო ამთავრებს საპროექტო და საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავებას.... მშენებლობა 1976 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყება". ასეთმა პასუხმა ბევრი დაალიმა, მაგრამ სინამდვილეში პროექტი 1978 წლის დასაწყისში წარმოადგინეს.

აქტივის კრებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ მიტმასტი დაშორების გამო ძნელი ხდება ბათუმიდან ფოთისა და ლანჩხუთის სამკერვალო ფილიალებისადმი დახმარება და კონტროლი. ეს თუ ასეა, თუ გაერთიანებას ეკონომიკური ეფექტი არ მოპყოლია და დანიშნულებას ვერ ამართლებს, განა უმჯობესი არ იქნება, ფოთისა და ლანჩხუთის ფილიალების ბაზაზე, რომლებიც ტერიტორიულად ახლოს არიან ერომანეთთან, შეიქმნას ერთი გაერთიანება? საქმის სასარგებლოდ სადავო საკითხის მოგვარება უკან დაიგდო როდი.

კამათის მონაწილეებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ პროდუქციის ხარისხის ასაწყლებლად და სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად აუცილებელია მოგვარდეს ზოგიერთი მტკივნეული საკითხი. მიმწოდებელი ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნილებას. ისეთ ქსელის ჯზავნის, როგორიც აქვს. მაგალითად, ყორის ბამბეულის კომბინატი რამდენიმე წლითა აწოდის ერთნაირი დაჩოთლობის ქსოვილს. ნაწარმი მიმზიდველი მაშინ ჯამოდის, როცა კარგად შეკერილია და ლამაზად არის მოჩითული. წლიური გეგმის შესასრულებლად გაერთიანებას აკლია 500 ათასი ქსოვილი, ურიტმო მომარაგება იწვევს ეფექტიანობას, აფუჭებს პროდუქციის ხარისხს.

აქტივის კრებამ ყურადღება გაამახვილა საწარმოში არსებულ ნაკლოვანებებზე, ერთმა, აღინიშნა, რომ სუსტია კონტროლი შემრულებლისადმი, საყვედურები ბამოთქვა ხარისხის მართვის განყოფილების მიმართ, განსაკუთრებით სცოდავენ ფოთელი მკერავები. შარშან გადაბდილი 9 ათასი მანეთი ჯარიმიდან ნახევარი ფოთის ფილიალზე მოდის. გამართულად არც მანქანა-დანადგარები მუშაობენ. გაერთიანებას 3 ძირითადი საამქრო — მოსამზადებელი, საგამომკერელო და ექსპერიმენტული — თავისი საწარმოო ფართობით მინიმალურია. ოცდ ვერ აკმაყოფილებს გაერთიანების მოთხოვნილებას. მისი რეკონსტრუქციის საკითხი აი უკვე რამდენიმე წელია გადაუჭრელი რჩება. საკმარისი არ არის სასაწყობო მეურნეობა, ნახევარფაბრიკატების გამოშვების ხარისხი კვლავ დაბალია, შეფერხებებია დამზმარე მასალებით მომარაგებაშიც, ცოტა რამ

ცხოვრების დიდ გზაზე



მრავალი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ სიმწიფის ატესტატზე გამოცდებისათვის, მას მოუთმენლად და დიდი მღელვარებით მოელოდნენ მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც. და აი, დადგა დღე, როცა უნდა გადალახოს უკანასკნელი ზღუდე.

გუშინ, 1 ივნისს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ათასობით კურსდამთავრებული აბარებდა პირველ გამოხაშვებ გამოცდას — წერდა თემას ქართულ და რუსულ ლიტერატურაში. ახლა გამოცდაზე გავლენ მერვეკლასელები.

სიმწიფის პირველი გამოცდა დამთავრდა. კურსდამთავრებულებს მთელი თვის დაძაბული გამოცდები მოელით.

სურათებზე: მარცხნივ — თბილისის მე-14 სკოლაში მიმდინარეობს გამოცდა მშობლიურ ლიტერატურაში; მარჯვნივ — ამავე სკოლის კურსდამთავრებულთა ერთმა ჯგუფმა სურვილი გამოთქვა, რომ სიმწიფის ატესტატებით ხელში ფაბრიკებში, ქარხნებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში წავიდნენ.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐᲚᲘ

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელოვნის სახელმწიფო კონსერვატორია

აცხადებს მიღებას 1978-79 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე (ინვალიდების ჯგუფის დღის დასწრებულნი) ფორტეპიანო, საორკესტრო საკრავები, სოლო სიმღერა, საგუნდო დირიჟორობა, კომპოზიცია და მუსიკისმცოდნეობა



(ყველა სპეციალობაზე მიღება ქართულ სექტორზე)

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის ორიგე სქვესის მოქალაქეები 35 წლამდე ასაკისა, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება.

საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულნი მიიღებიან წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლებაზე, თუ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აქვთ პრაქტიკული მუშაობის სამი წლის სტაჟი. სტაჟი არ მოეთხოვებათ იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დამთავრეს წარჩინების დიპლომით, აღრიცხვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აგვისტოს № 656 დადგენილების საფუძველზე იმ სასწავლებელდამთავრებულებს, რომელთაც აქვთ ფრიადი და კარგი ნიშნები ყველა საგანში და სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭოებმა რეკომენდაცია მისცეს კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად.

წარმოგებისაგან მოწყვეტით საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულ პირთაგან საბუთების მიღების საფუძვლად ჩაითვლება დადგენილი ნიშნების ნუსხები (დანართები № 1 და № 2), რომლებიც გაეგზავნება სასწავლებლის მიერ.

კონსერვატორიაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე სათანადო ფორმით; 2. საშუალო განათლების დოკუმენტი (დიპლომი), საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის დანართს, 3. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან რომელსაც იძლევიან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. იმ პირებს, რომელთაც არ მოეთხოვებათ პრაქტიკული მუშაობის სამი წლის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება, გაცემული იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებელთა ხელმძღვანელების მიერ, სადაც ისინი სწავლობდნენ; 4. ამონაწერი შრომის ან კოლეგიურნეობის წიგნაკიდან (ბომუშავეთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.; 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 6. ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ);

პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

კონსერვატორიაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა (საგამოცდო პროგრამის შესრულება და კოლოქვიუმი) ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, საგუნდო დირიჟორობის, სოლო სიმღერის სპეციალობებზე შემსვლელთათვის, ხოლო კომპოზიციის სპეციალობაზე — საკუთარი ნაწარმოების წარდგენა;

სოლო სიმღერის სპეციალობაზე გამოცდა ჩატარდება ორ ტურად;

2. სოლფეჯიო (წერა, ზეპირი) ყველა სპეციალობაზე;

3. მუსიკისმცოდნეობის და საგუნდო დირიჟორობის სპეციალობებზე პირველი გამოცდა ჩატარდება სოლფეჯიო წერა. (ღონიშნული სპეციალობებზე სოლფეჯიო წერაში ცალკე შეფასება იქნება, ზეპირში ცალკე);

3. ჰარმონია (წერა, ზეპირი) ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, საგუნდო დირიჟორობის, მუსიკისმცოდნეობის და კომპოზიციის სპეციალობებზე;

4. მუსიკის ელემენტარული თეორია (წერა, ზეპირი) სოლო სიმღერის სპეციალობაზე;

5. მუსიკის ლიტერატურა — კომპოზიციის და მუსიკისმცოდნეობის სპეციალობებზე; ამავე დროს მუსიკისმცოდნეობის სპეციალობაზე შემომსვლელნი აბარებენ წერით გამოცდას სპეციალობაში (რეფერატი);

6. საერთო ფორტეპიანო — კომპოზიციის, მუსიკისმცოდნეობის და საგუნდო დირიჟორობის სპეციალობებზე;

7. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი) ყველა სპეციალობაზე;

8. სსრკ ისტორია (ზეპირი) ყველა სპეციალობაზე;

ოქრის (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლადამთავრებულნი ან საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას შესაბამისი სპეციალობისათვის დადგენილ პირველ საგანში. გამოცდის „ხუთზე" ჩაბარებისას ისინი თავისუფლდებიან მისაღების გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან.

მუსიკისმცოდნეობის და საგუნდო დირიჟორობის სპეციალობებზე შემომსვლელი მედალისტნი და წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტები, რომლებიც პირველ გამოცდაზე სოლფეჯიო წერაში მიიღებენ შეფასებას „ოთხს" სოლფეჯიო ზეპირში „ხუთს", პირველი ორი გამოცდის შედეგად 9 ქულის მოგროვების შემთხვევაში ჩაირიცხებიან კონსერვატორიაში.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან 4 ივლისამდე, 10 საათიდან 16 საათამდე, ყოველდღე (გარდა კვირისა); კონსულტაციები 25 ივნისიდან. მისაღები გამოცდები დაიწყება 6 ივლისიდან;

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კონსერვატორიის მიმღებ კომისიაში.

მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის 8, ტელ. 99-91-47,

გიწვევთ საცალო ბაზრობაზე



ძვირფასო მომხმარებლებო! ცეკავშირის გამგეობა შეგახსენებთ, რომ მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირთან (საავტომობილო ტრასაზე მუხრანის გადასახვევთან), სოფელ ქვიტიტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირთან (სამტრედია-ქუთაისის გზატკეცილზე), სოფელ აჩადარასთან (სოხუმის ახლოს) და დაბა მახინჯაურში (ბათუმის ახლოს) ყოველ შაბათსა და კვირას ეწყობა კოოპერაციული საცალო ბაზრობები.

კოოპერაციული ორგანიზაციები შემოგთავაზებენ როგორც სამამულო წარმოების, ისე იმპორტულ მზა ტანსაცმელს, ქსოვილს, ფეხსაცმელს, საგალანტერეო, სპორტულ, საშაურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს.

ბაზრობები იმართება დილის 8 საათიდან.

თბილისიდან ციხისძირის ბაზრობაზე მისვლა შეიძლება ზემო ქართლის რაიონებსა და დასავლეთ საქართველოში მიმავალი ყველა ფეტობუსით.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კოოპერაციულ ბაზრობებზე!

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოკოვიდან), 09.50 — კინონარკვევი, 10.10 — ქ. თბილისის ბავშვთა თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი (მოსკოვიდან), 16.50 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.20 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 17.50 — კინოპროგრამა „მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიაში" (მოსკოვიდან), 18.25 — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), დასასრულ — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 19.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 19.15 — კონცერტი, 19.30 — „მომბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.00 — კინოპროგრამა, 20.45 — დოკუმენტური ფილმი, 21.00 — სპორტული პროგრამა, 21.45 — „სოფლის ხადღისო საზრუნავი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — კინოპროგრამა,

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — „მასწავლებლის საათი" — მათემატიკა, 18.45 — კინოჟურნალი, 18.55 — განცხადებები, 19.00 — „მასწავლებლის საათი" — ხაზვა, 19.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოიხედე — ნახავ მეგობრებს" (ფერადი), 21.05 — „ბალეტის საღამო".

ᲗᲣᲚᲣᲥᲝᲠᲘ

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲔᲑᲘ** (I აბონ. I წარმ.); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲩᲐᲠᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲐ**; მინიატიურების სახელმწიფო — **ᲜᲐᲪᲐᲠᲔᲑᲘ**; მეტეხის თეატრი — **ᲯᲐᲚᲝᲬᲜᲔᲑᲘ**; კინოსტუდია „ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნო — **ᲔᲚᲛᲔᲠᲐᲚᲓᲐ.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ" ᲛᲝᲬᲕᲘᲕᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲓ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘ

ᲒᲕᲔᲬᲕᲔᲕᲘᲐᲜ ᲝᲑᲠᲐᲖᲪᲝᲕᲘᲡ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრის" მოწვევით თბილისში საგასტროლოდ ჩამოდის **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ**, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი სერგეი ობრაზცოვი ხელმძღვანელობს. გასტროლების დაწყების წინ გამოჩენილმა ხელოვანმა „მეგობრობის თეატრს" გამოუგზავნა წერილი, რომელშიც თბილისელ მაყურებლებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თოჯინების სახელმწიფო ცენტრალური თეატრი გასტროლებზე იყო თქვენთან. დიდება და ხანდაზმულ ადამიანებს შეიძლება ადარც ვახსოვართ, ახალგაზრდები კი სრულიად არ გვიცნობენ. ბევრი მათგანი ხომ ჯერ დაბადებულიც კი არ იყო, როცა თბილისში გამოვდიოდით, აი რატომ გწერთ ამ ღია წერილს.

ჩვენი თეატრი მრავალი წლისაა — თითქმის ორმოცდაათის. ჩვენ დავიბადეთ 1931 წელს. მაშინ 10-12 კაცი ვიყავით. ახლა კი ჩვენ — ამ თეატრის მუშაკები 350 ვართ. ამ წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის ოთხასი და უცხოეთის ოცდათორმეტი ქალაქი მოვიარეთ, ჩვენს თეატრს ორი დარბაზი აქვს: ერთი დიდებისათვის, მეორე ბავშვებისათვის. და ყოველდღე დღისით ბავშვებისთვის ვამართავთ



სპექტაკლებს, საღამოს კი უფროსებისათვის. ჩვენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თეატრმა „მეგობრობამ" მოგვიწვია. მოგვაქვს რამდენიმე სპექტაკლი. უფროსებისათვის გავამართავთ ოთხს: „უჩვეულო კონცერტს", „ნოეს კიდობანს", „ი-გო-გოს" და „დონ ჟუან — 78"-ს

„უჩვეულო კონცერტი" თბილისში ოცი წლის წინათ ვუჩვენეთ, მაგრამ ახლა მეორე რედაქციით დავდგით. თითქმის ექვსი ათასჯერ გავმართეთ ეს სპექტაკლი. იგი თან მიგვქონდა ყველა ქვეყანაში, სადაც კი ვყოფილვართ, და ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქში, სადაც გასტროლები გვქონია. ეს არის სატირა საკონცერტო და საესტრადო შტამპზე.

„ნოეს კიდობანიც" სატირული სპექტაკლია. იგი საინტერესოა იმით, რომ ღმერთს, მთავარანგელოზსა და ეშმაკს თოჯინები კი არ თამაშობენ, არამედ ცოცხალი მსახიობები, ნოე, მისი ცოლი, შვილები და რძლები კი თოჯინები არიან.

„ი-გო-გო" სასაცილოდ წარმოგვიდგენს ავ სულს, რომელიც ავტორის თვალსაზრისით სინამდვილეში არსებობს. არის ადამიანი-კუდიანი, ადამიანი-ალი, ადამიანი მაქცია, ადამიანი-ეშმაკი. კუდიანები — კომუნალურ ბინებში, ალები — პლაჟებზე (ისინი იქერენ მამაკაცებს, რომლებსაც კარგი თანამდებობა და აგარაკები აქვთ), მაქციები და ეშმაკები — სხვადასხვა დაწესებულებაში.

„დონ ჟუან 78" — ეს არის სატირა მეუზიკლებზე, რომლებიც მოდად შემოვიდა თეატრალურ ხელოვნებაში. ჯოჯოხეთიდან გამოქცეული დონ ჟუანი სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობს და ეს საშუალებას აძლევს გაამასხარაოს ყოველგვარი მეუზიკლი — ტრაგიკული, რომანტიკული, სექსუალური, ნეორეალისტური, ეგზოტიკური, კოგბოური, კოშმარების მეუზიკლი...

ეს ერთ-ერთი ჩვენი უკანასკნელი დადგმაა დიდებისათვის. ძალიან გთხოვთ ნუ მოიყვანთ ამ სპექტაკლებზე თექვსმეტ წლამდე ბავშვებს.

ბავშვებისათვის კი ჩვენ მოგვაქვს სპექტაკლები: „ალადინის ჯადოსნური ლამპარი" და „ჩექმებიანი კატა", და კვლავ ძალიან გთხოვთ შშობლებს ნუ მოიყვანენ 5 წელზე ნაკლები ხნის ბავშვებს. ისინი ყველაფერს ვერ გაიგებენ და, ესეც არ იყოს, ხელს შეუშლიან სხვებს.

შეს ასე, მოუთმენლად ველით შეხვედრას თქვენთან და თქვენ შშვენიერ ქალაქთან.

თქვენი
სერგეი ობრაზცოვი.

• • •

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ გასტროლები სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში იწყება 6 ივნისიდან და 2 ივლისამდე გასტანს. გასტროლების დაწყებამდე კი 3, 4 და 5 ივნისს გაიმართება თვით სერგეი ობრაზცოვის შემოქმედებითი საღამოები.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო ქუთაისში

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ამ დღეებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალის შენობაში გაიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო, რომელიც მომღერლის დაბადებიდან 50 წლისთავს მიეძღვნა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ა. ბარათაშვილმა. ზ. ანჯაფარიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა ხელოვნებათმცოდნე მანანა ახმეტელი.

საღამოში მონაწილეობდნენ და იუბილარს სიტყვებით მიმართეს სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ი. არხიპოვამ, რსფსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა კ. ლორნოვმა და ა. გრიგორიევმა, ცენტრალური ტელევიზიის მთავარმა დირიჟორმა ვ. ფედოსეევმა, ცენტრალური ტელევიზიის მუსიკალურმა კომენტატორმა ო. დობრომბოლოვმა, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა, პროფესორმა ირ. ბერიძემ, რესპუბლიკის ხახალხო არტისტებმა ც. ტატიშვილმა, ი. შუშანიამ და ნ. ანდღულაძემ.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ აგრეთვე მასპინძლები — პროფესორი კ. ამედაშვილი, პოეტი ზ. კუხიანიძე, ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი გ. ქავთარაძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ტორონჯაძე და სხვები.

ზ. ანჯაფარიძემ გულითადი მადლობა გადიხადა მისი შემოქმედების დაფასებისათვის. საღამოზე სტუმრებმა და მასპინძლებმა წარმოადგინეს ფართო საკონცერტო პროგრამა.

დ. გედენიძე.

„ᲓᲘᲚᲐ" 50 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

საიუბილეო ნომრის ფურცლებზე

გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ „დილის" საიუბილეო ნომერი № 5.

„დილა" დაიბადა 1928 წლის თებერვარში და წელს 50-სა შესრულდა.

საიუბილეო ნომერში დაბეჭდილია „დილაში" 50 წლის მანძილზე გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან საუკეთესოთა შორის საუკეთესოები.

ბევრმა საქვეყნოდ ცნობილმა მწერალმა და მხატვარმა ამ ჟურნალში აიდგა ფეხი. „დილის" მე-5 ნომერში დაბეჭდილია შ. მღვიმელის, ნ. ნაკაშიძის, ა. ხახუტაშვილის (ილუსტრაციები), გ. ჭეჩიშვილის, ი. გრიშაშვილის, მარიჯანის, ი. სიხარულიძის და ჩვენი თანამედროვე გამოჩენილი ქართველი მწერლების ლექსები და მოთხრობები.

აქვეა მოთავსებული საბჭოთა კავშირის რესპუბლიკური სამავშო ჟურნალების საიუბილეო მისალმებანი.

ნომერი მხატვრულად გააფორმეს ზ. დეისაძემ, გ. როინიშვილმა, მ. მარნილაძემ, გრ. გაფრინდაშვილმა, თ. ხუციშვილმა, ს. კინწურაშვილმა, ვ. გულისაშვილმა და სხვა ცნობილმა მხატვრებმა.

ᲧᲣᲗᲘ მეოთხე გვერდზე დაბეჭდილია „დილის" ყოფილი სამხატვრო რედაქტორის, აწ გარდაცვლილი ცნობილი მხატვრის შალვა ცხადაძის მიერ შესრულებული პოპულარული ქართული ზღაპრის „კომბლეს" ილუსტრაცია.

ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲚᲐᲑᲘᲛᲔᲥᲡᲘ

labimex

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში გაიხსნა სალაბორატორიო მოწყობილობის გამოფენა-ჩვენება, რომელიც მოაწყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ფირმა „ლაბომექსმა".

მნახველები ეცნობიან ახალ კომპლექსურ ლაბორატორიებს მეურნეობისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგისათვის.

როგორც ფირმის წარმომადგენელმა კაზიმეერ იურკევიჩმა განაცხადა, გამოფენა მხოლოდ საეჭვო თვალსაზრისით არ არის მოწყობილი. მისი მიზანია გააცნოს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის მუშაკებს, განსაკუთრებით კი სტუდენტ ახალგაზრდობას ახალი სალაბორატორიო დანადგარები, რომლებიც სულ მალე დაინერგება პრაქტიკაში.

Т. ᲡᲐᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კომიტეტი აცხადებს, რომ საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის, ახალი მუსიკალური ნაწარმოების, მუსიკის თეორიისა და ისტორიაში შრომების შექმნისათვის პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატების დასახელება და მასალების წარდგენა იწარმოებს 1978 წლის 1 ნოემბრამდე.

კომიტეტი განიხილავს 1977-1978 წლების ფართოდ აღიარებულ მუსიკალურ ნაწარმოებებს, მუსიკის თეორიასა და ისტორიაში გამოქვეყნებულ შრომებს, საკონცერტო-საშემსრულებლო პროგრამებს.

მასალები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ № 22. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.** (საქინფორმი).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ XI ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲮᲣᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ცნობილია, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები გაიმართება ბუენოს-აირესში, მენდოსაში, როსარიოში, კორდოვაში და მარ-დელ-პლატაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელ არგენტინაში არც ერთ წელს არც ერთ სეზონში ტემპერატურა 0 გრადუსზე ქვემოთ არასოდეს არ ეცემა, ცხადი გახდება, რომ უკეთესს ვერ ინატრებ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად.

ვიძლევით მოკლე დახასიათებას იმ ქალაქებისას, რომლებშიც გაიმართება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შეხვედრები:

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ — არგენტინის დედაქალაქი. იგი მდებარეობს სანაოსნო მდინარე ლა-პლატის მარჯვენა ნაპირზე და ატლანტის ოკეანისაგან დაშორებულია 200 კილომეტრით. მოსახლეობა — 7,8 მილიონი (გარეუბნებით). სამხრეთ ნახევარსფეროში მოსახლეობის რაოდენობით ბუენოს-აირესი ყველაზე დიდი ქალაქია.

ესპანელმა პედრო დე-მენდოსამ ქალაქი დააარსა 1536 წელს და თავდაპირველად მას საკმაოდ გრძელი სახელი უწოდეს: „სუფდად დე ლა სანტისიმა ტრინიდად უ პუერტო დე ნუესტრა სენორა ლა ვიგრე მარია ენ ლოს ბუენოს აირეს", რაც ნიშნავს „წმინდა სამებისა და ჩვენი ქალბატონის ქალწულ მარიას ქალაქი კარგი ქარის ნავსადგურით". 1541 წელს ინდიელებმა ქალაქი დაანგრიეს და დაწვეს. 1580 წელს ლა-პლატის ტერიტორიის გუბერნატორის ხუან დე გორაის ხელმძღვანელობით ქალაქი თავიდან გაშენდა, ხოლო 1826 წლიდან ბუენოს-აირესი არგენტინის რესპუბლიკის დედაქალაქია.

ბუენოს-აირესი დიდი ნავსადგურია, სპეციალიზებულია ხორცის, მატყლისა და მარცვლეულის გატანაზე. მასზე მოდის არგენტინის მთელი საზღვაო ვაჭრობის სამ მეოთხედზე მეტი.

ბუენოს-აირესი თავისი ფართობით ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში (3760 კვ. კმ.), იგი მეტად მდიდარია მწვანე სამოსელით.

ᲠᲝᲡᲐᲠᲘᲝ მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ არგენტინაში და მოსახლეობის რაოდენობით (900 ათასი) მეორე ქალაქია სახელმწიფოში ბუენოს-აირესის შემდეგ. იგი წარმოადგენს დიდ ნავსადგურს მდინარე პარანაზე. როსარიო ოკეანიდან დაშორებულია 600 კილომეტრით, მაგრამ ქალაქამდე მდ. პარანათი საოკეანო გემებიც კი აღიან.

როსარიო როგორც ქალაქი და ნავსადგური სპეციალიზებულია მარცვლეულისა (ხორბალი, სიმინდი, სელის თესლი და სხვ.) და მეცხოველეობის პროდუქტების გატანაზე. იგი საკმაოდ მსხვილი სამრეწველო ცენტრია, აქ განსაკუთრებით გამოირჩევა საყვავი და ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება, სამაცივრო მეურნეობა, ნავთობგადამა.

ქალაქი დაარსდა 1739 წელს.

ᲙᲝᲠᲓᲝᲕᲐ მდებარეობს ცენტრალურ არგენტინაში და წარმოადგენს ამავე სახელწოდების პროვინციის ცენტრს (ღონიშნული სახელწოდება ესპანელებმა ჩაიტანეს სამხრეთ ამერიკაში).

კორდოვა მსხვილი სატრანსპორტო კვანძია. ქალაქში განსაკუთრებით განვითარებულია მანქანათმშენებლობა, პირველ ეტაპზე სატრაქტორო, საავტომობილო და ავიამრეწველობა, აგრეთვე კვების მრეწველობა. მდებარეობს რა პამპაში, კორდოვა წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის „პურის ბელელს" და მარცვლეულის ვაჭრობის მსხვილ ცენტრს.

კორდოვა არგენტინის უძველესი ქალაქია (დაარსდა 1573 წელს). მოსახლეობის რაოდენობა — 800 ათასი. ამ ქალაქშია მთელს ლათინურ ამერიკაში უძველესი უნივერსიტეტი (გაიხსნა 1613 წელს).

მენდოსა წარმოადგენს ამავე სახელწოდების პროვინციის ცენტრს (სახელი ეწოდა XVI საუკუნეში პროვინციის გუბერნატორის გვარიდან). მოსახლეობის რაოდენობა — 500 ათასი.

მენდოსა არგენტინის მეღვინეობის ყველაზე დიდი ცენტრია. აქ საკმაოდ განვითარებულია აგრეთვე ხელ-ბოსტნეულის, საკონსერვო, ცემენტისა და საფეიქრო მრეწველობა. ქალაქზე გადის არგენტინა-ჩილეს შემაერთებელი ტრანსანდიის ავტომაგისტრალი.

მარ-დელ-პლატა მდებარეობს ბუენოს-აირესის პროვინციაში. მოსახლეობის რაოდენობა — 400 ათასი.

მარ-დელ-პლატა მსხვილი ნავსადგურია ატლანტის ოკეანის სანაპიროზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან საზღვაო კურორტსა და თევზჭერის ცენტრს. ქალაქი დაარსდა 1856 წელს.

ᲑᲠ. ᲖᲐᲠᲓᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲠᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მატჩით დაიწყო ფეხბურთში მსოფლიოს XI ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲛᲔᲐᲗᲔ ᲢᲣᲠᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვის „ლოკომოტივისა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეათე ტური. გაიმარჯვა „ლოკომოტივმა" ანგარიშით 1:0.

დღეს თბილისის „დინამო" სტუმრად თამაშობს მოსკოვის „ტორპედოსთან".

საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში თბილისის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო" ერთმანეთს 71-ჯერ შეხვდნენ. აქედან თბილისელებმა 31 მატჩი მოიგეს, 20 ფრედ დაამთავრეს და 20 შეხვედრა წააგეს. ბურთები 125:101 დინამოელთა სასარგებლოდ.

ხვალ გაიმართება მეათე ტურის დანარჩენი მატჩები: „კაირატი" (ალმა-ათა)-„დინამო" (მოსკოვი), „პახტაკორი" (ტაშკენტი)-„ზარია" (ვოროშილოვგრადი), „არარატი" (ერევანი)-„დინამო" (კიევი), „ნეფტჩი" (ბაქო)-„სპარტაკი" (მოსკოვი), ცსკა-„შახტიორი" (დონეცკი), „ზენიტი" (ლენინგრადი)-„ჩერნომორეცი" (ოდესა).

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ?

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ჩემპიონატის დაწყების წინ ჟურნალისტებმა კითხვით მიმართეს 16 ფინალისტის მწვრთნელებს: „ვინ გახდება ჩემპიონი?"

აი მათი პასუხებიც:

ᲨᲘᲜᲝᲜᲘ (გერ): არგენტინელები ან ბრაზილიელები.

ᲘᲓᲐᲚᲒᲝ (საფრანგეთი): ყველაზე უკეთესი შესაძლებლობები აქვთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჰოლანდიისა, არგენტინისა და ბრაზილიის გუნდებს.

ᲯᲐᲙᲘᲚᲘ (ჰოლანდია): ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი ხუთია — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბრაზილიის, არგენტინის, ჰოლანდიისა და იტალ